COVID-19-თან დაკავშირებული დისკურსული პრაქტიკები და საქართველოს სახელმწიფოს მადისციპლინირებელი ხმა გლობალური საფრთხის პირობებში

საბა კიკვაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო რჩეულიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

საბა კიკვაძე, 10 ივლისი, 2020 წელი.

აბსტრაქტი

COVID-19-ის პანდემიის გარშემო წარმოებული დისკურსები მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველია როგორც საზოგადოებაში არსებული ჰეგემონური წარმოდგენების, ისე სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ძალაუფლების ლეგიტიმაციის მექანიზმების ანალიზის კუთხით. წინამდებარე ნაშრომის მიზანია დისკურსული ანალიზის გამოყენებით განვიხილოთ COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული ახალი პრაქტიკების კულტურულ-ენობრივი მახასიათებლები და საქართველოს სახელმწიფოს, როგორც მადისციპლინირებელი ინსტიტუტის, როლი შექმნილ ვითარებაში. კვლევაში გაანალიზებულია ქართულენოვანი მედია საშუალებებით გაშუქებული ინფორმაცია, პოლიტიკოსების, ჟურნალისტების, ექსპერტებისა და ცნობილი ადამიანების გამოსვლები, რომელთა მოაზრებაც შესაძლებელია პანდემიის გარშემო წარმოებული დისკურსების მაკონსტრუირებლად. გლობალური საფრთხის პირობებში სახელმწიფო და მის წარსამართად განხორციელებული ძალაუფლება ლეგიტიმაციას კულტურაში გავრცელებული წარმოდგენების ხარჯზე პოვებს. აღნიშნული წარმოდგენები პანდემიის გარშემო წარმოებული დისკურსების მაკონსტრუირებელი პატერნების სახით გვხვდება. კონკრეტული დისკურსების ჰეგემონური ხასიათი ამგვარი გაბატონებული წარმოდგენების გავრცელების მასშტაბებზე მიგვითითებს. ერთ-ერთი ასეთი ჰეგემონური დისკურსი გახლავთ „პანდემიასთან ომი“. ადამიანის თავისუფლებისა და პანდემიასთან ომის დისკურსების შედეგი ნათელს ხდის ამ დისკურსულ ველზე უკანასკნელის უპირატესობას. ომის დისკურსში გამოყენებულ მეტაფორებს პრაქტიკული დანიშნულება აქვთ. მეტაფორები საზოგადოებას ვითარების აღქმას უადვილებს და კულტურაში არსებული გაბატონებული წარმოდგენების შექმნილ ვითარებაზე გავრცობის საშუალებას აძლევს. ის ხელს უწყობს ხელისუფლების მიერ შემუშავებული ბიოპოლიტიკის გატარებასა და გამოყენებული ძალაუფლების ლეგიტიმაციას. ნაშრომში ერთ-ერთი მოტივტივე აღმნიშვნელის სახით განხილულია

გმირის მეტაფორა, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფო ბიოპოლიტიკის განხორციელებისას გამოყენებული ძალაუფლების ლეგიტიმაციის კუთხით. მოქალაქეობრივი თვითშეგნების დისკურსი გახლავთ ძალაუფლების განხორციელების ლეგიტიმაციის კიდევ ერთი ინსტრუმენტი, რომელიც ახალი პრაქტიკებისა და რეალობის ფარგლებში განსაზღვრავს მოქალაქის ვალდებულებებს სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე. სახელმწიფოსა და მოქალაქის ძალაუფლებრივი მიმართებების კონტექსტში გამოიკვეთა, რომ გლობალური საფრთხის პირობებში ბიოპოლიტიკის განხორციელების ხელშემწყობი მექანიზმია წამახალისებელი და დამაშინებელი რიტორიკა, რომელსაც ისეთივე მადისციპლინირებელი ფუნქცია აქვს, როგორიც სახელმწიფოს მიერ დაწესებულ სანქციებს და სასჯელის დემონსტრაციულობას.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: COVID-19, პანდემია, დისკურსი, მეტაფორები, მოქალაქობა, ძალაუფლება.

Abstract

Discourses constructed around the covid-19 pandemic contain important information regarding prevalent or hegemonic cultural patterns and mechanisms for ensuring legitimation of power used by a state. The aim of this research is to examine cultural-linguistic specifications of new covid-19 related practices and deconstruct the Georgian governments disciplinary role using discourse analysis method. Research uses statements of politicians, journalists, experts and public figures and information published in Georgian media during the covid-19 outberak which can be considered as important in connection with discourse around the pandemic. When global threat occurs bio-politics and power used for its implementation seeks its legitimacy in culture and dominant explanations. These explanations, perceptions or values act as patterns in constructed discourse. Hegemonic nature of these discourses indicate the scale of widespread statements in culture. One of these hegemonic discourses in regards to covid-19 pandemic is war discourse. Discourses of freedom and war oppose each other in the field of discourse, but the advantage of the latter is eminent. Metaphors used in the war discourse has their own practical meaning. Metaphors help people in extending their explanations on occurred situation, reasoning about unfamiliar situations and making sense of the environment. They play important part in legitimation of power used by the government for realization of bio-politics. Hero metaphor is considered as a floating significant which is one of the key metaphors in means of government used power legitition process. During the covid-19 pandemic citizen self-conciousness also acted as one of the important tools in the process of power legitimation. Concept of the citizen self-conciousness defined new duties and obligations for citizens regarding new reality and recently emerged practices. Within discourses that construct around the covid-19 pandemic rhetorics of scare and encouregment also play their part in the context of power legitimation. These types of rhetorics act as instruments of discipline the same way as demonstrative punishment and new sanctions do.

Keywords: COVID-19, Pandemics, Discourse, Metaphors, Citizenship, Power.